

# ტერპენ ულტრა (Terpen Ultra)

## უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შეესაბამება რეგულაციებს: (EC) No. 1907/2006 (REACH) ((EU) 2015/830)

### 1. ნივთიერების/ნარევის და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

#### 1.1. პროდუქტის იდენტიფიკაცია

ფორმა : ნარევი  
დასახელება : ტერპენ ულტრა (Terpen Ultra)  
პროდუქტის ტიპი : სარეცხი საშუალება, ზეთოვანი ლაქების ამომყვანი

#### 1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

##### 1.2.1. შესაბამისი მიზნობრივი გამოყენება:

სამრეწველო/პროფესიული გამოყენების სპეციფიკა : პროფესიონალური გამოყენებისთვის  
ნივთიერების/ნარევის გამოყენება : სარეცხი საშუალება

##### 1.2.2. გამოყენების საწინააღმდეგო რჩევები:

არ არის იდენტიფიცირებული

#### 1.3. უსაფრთხოების მონაცემების ფურცლის მიმწოდებლის დეტალები,

##### მწარმოებელი:

შპს ლაუნდრი ტექ  
405352087

საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლიხაურის ქ., №35-37, ბ. №18

+995 32 250 02 05

[Info@laundrytech.ge](mailto:Info@laundrytech.ge)

## 2. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

### 2.1. ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია (EC) No.1272/2008 [CLP] რეგულაციის შესაბამისად

Acute Tox. 4 (Oral)	H302
Skin Irrit. 2	H315
Eye Dam. 1	H318
Skin Sens. 1	H317
Aquatic Acute 1	H400
Aquatic Chronic 2	H411

არასასურველი ფიზიკურ-ქიმიური, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედება

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

### 2.2. ეტიკეტის ელემენტები:

მარკირება (EC) No1272/2008 [CLP] რეგულაციის მიხედვით

საშიშროების აღმნიშვნელი პიქტოგრამა:



სასიგნალო სიტყვა	: გაფრთხილება!
საშიში ინგრედიენტები	: ეთოქსილირებული ალკოჰოლი; ტერპენი, მონოციკლური; ბუტილ გლიკოლი/2-ბუტოქსიეთანოლი
საფრთხის აღმნიშვნელი განცხადებები (CLP)	: H272 - შეიძლება გააძლიეროს ცეცხლი; ოქსიდიზატორი. H290 - შეიძლება იყოს კოროზიული ლითონებისთვის. H302+H332 - საზიანოა გადაყლაპვისას ან ჩასუნთქვისას. H314 - იწვევს კანის ძლიერ დამწვრობას და თვალის დაზიანებას. H335 - შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის გაღიზიანება.. H410 - საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის ხანგრძლივი ეფექტებით
გამაფრთხილებელი განცხადებები (CLP)	: P210 - მორიდეთ სითბოს, ცხელ ზედაპირებს, ნაპერწკლებს, ღია ცეცხლს და სხვა აალებად წყაროებს. მოწვევა აკრძალულია. P220 - შეინახეთ აალებადი ნივთიერებებისგან მოშორებით.. P280 - ატარეთ დამცავი ხელთათმანები, დამცავი ტანსაცმელი, თვალისა და სახის დამცავი საშუალებები. P303+P361+P353 - კანზე (ან თმაზე) მოხვედრის შემთხვევაში, მოიხსენით დაზინძურებული ტანსაცმელი. ჩამოიბანეთ კანი წყლით/შხაპით. P305+P351+P338 - თვალში მოხვედრისას: ფრთხილად ამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ ამორეცხვა. P310 - თუ თვალის გაღიზიანდება ნარჩუნდება მიმართეთ ექიმს.

### 2.3. სხვა სახის საფრთხეები

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი

3. შემაღენლობა /ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ			
დასახელება	პროდუქტის იდენტიფიკატორი	%	კლასიფიკაცია (EC) No1272/2008 [CLP] რეგულაციის მიხედვით
ეთოქსილირებული ალკოჰოლი	(CAS-no) 157627-86-6/68439-50-9/68131-39-5/68213-23-0/68551-12-2/160901-199 (REACH-no) /	30 - 50	Acute Tox. 4 (Oral), H302 Eye Dam. 1, H318 Aquatic Chronic 3, H412
ბუტილ გლიკოლი/2-ბუტოქსიეთანოლი	(CAS-no) 111-76-2 (Einecs nr) 203-905-0 (EG annex nr) 603-014-00-0 (REACH-no) 01-2119475108-36	5 - 10	Acute Tox. 4 (Inhalation), H332 Acute Tox. 4 (Dermal), H312 Acute Tox. 4 (Oral), H302 Eye Irrit. 2, H319 Skin Irrit. 2, H315
ტერპენი, მონოციკლური	(CAS-no) 5989-27-5 (Einecs nr) 227-813-5 (EG annex nr) 601-029-00-7 (REACH-no) 01-2119529223-47	3 - 5	Flam. Liq. 3, H226 Skin Irrit. 2, H315 Skin Sens. 1, H317 Asp. Tox. 1, H304 Aquatic Acute 1, H400 Aquatic Chronic 1, H410

### 4. პირველადი დახმარების ზომები

#### 4.1 პირველადი დახმარების ზომების აღწერა

კანზე მოხვედრისას:	დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები დიდი რაოდენობის წყლითა და საპნით. თუ კანის გაღიზიანება ნარჩუნდება, მიმართეთ ექიმს.
თვალში მოხვედრისას:	დაუყოვნებლივ ამორეცხეთ თვალები უხვი წყლის ნაკადით (>15 წთ), ზედა და ქვედა ქუთუთოების პერიოდულად გაწევით. მოიხსენით კონტაქტური ლინზები თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. განაგრძეთ ამორეცხვა.
ჩაყლაპვისას:	სამედიცინო პერსონალის მითითების გარეშე არ გამოიწვიოთ ლებინება. მიეცით ბევრი წყალი/რძე დასალევად. დიდი რაოდენობით ჩაყლაპვისას მიმართეთ ექიმს.
ჩასუნთქვა:	გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე. ამყოფეთ სიმშვიდეში და კომფორტულ პოზიციაში. რესპირატორული პრობლემების წარმოქმნისას: მიმართეთ ექიმს.

## 4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე დაყოვნებული სიმპტომები და შედეგები

კანზე მოხვედრისას:	შესაძლო უარყოფითი სიმპტომებია: სიწითლე, გაღიზიანება.
ჩასუნთქვისას:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.
თვალში მოხვედრისას:	შესაძლო უარყოფითი სიმპტომებია: ტკივილი, ცრემლდენა, სიწითლე.
ჩაყლაპვისას:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.

## 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

### 5.1 ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები:	ჩააქრეთ წყლის უხვი ნაკადით.
ხანძრის ჩაქრობის შეუძლებლობის საშუალებები:	არ გამოიყენოთ ქიმიური ჩამქრობი მასალა ან ქაფი, არ ჩააქროთ ცეცხლი ორთქლის ან ქვიშის გამოყენებით.

### 5.2 რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

თავდაცვა ხანძართან ბრძოლისას:

მეხანძრე-მაშველმა უნდა ატაროს შესაბამისი დამცავი აღჭურვილობა და დადებითი წნევის პირობებში მომუშავე ავტონომიური სასუნთქი აპარატი სახის სრული ნიღბით.

დამცავი ტანსაცმელი მოიცავს:

შესაბამის დამცავ ხელთათმანებს, დამცავ ნიღბს, ჩაფხუტს და სპეცტანსაცმელს, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიური ინციდენტებისგან სათანადო დაცვას.

## 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრისას/დაფრქვევისას

### 6.1 პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

არა-საგანგებო პერსონალისათვის:	ნუ შეეცდებით იმოქმედოთ, პირადი უსაფრთხოების სერიოზული საშიშროების ან არასაკმარისი მომზადების შემთხვევაში. მოახდინეთ შენობის და მიმდებარე ტერიტორიის ევაკუაცია. არ შეეხოთ დაღვრილ მასალას. ატარეთ შესაფერისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
საგანგებო პერსონალისათვის:	ატარეთ დამცავი ხელთათმანები, ტანსაცმელი და თვალეხები დამცავი საშუალებები. დაადგინეთ დაბინძურებული ზონა და გაიყვანეთ ტერიტორიიდან დაუცველი პერსონალი.

## 6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები:

აღკვეთეთ წყლის და ნიადაგის დაბინძურება. არ დაუშვათ საკანალიზაციო მილებში გავრცელება. შეაჩერეთ გაჟონვა, თუ ეს შესაძლებელია. თუ პროდუქტი ჩაედინება არხებში/საკანალიზაციო მილებში და ვრცელდება გარემოში (ნიადაგში, ნაკადულებში, მდინარეებში, ჰაერში) აცნობეთ უფლებამოსილ ორგანოებს.

## 7. გამოყენებისა და შენახვის პირობები

### 7.1 უსაფრთხოდ მოხმარების რჩევები:

უსაფრთხოების ზომები:

მოერიდეთ თვალზე, კანზე და ტანსაცმელზე კონტაქტს. არ ჩაისუნთქოთ/ჩაყლაპოთ. შეინახეთ ქარხნულ შეფუთვაში, ან თავსებადი მასალის ნებადართულ ალტერნატიულ ტარაში. როდესაც არ მოიხმართ, პროდუქტი შეინახეთ დახურულ მდგომარეობაში. გამოიყენეთ მხოლოდ სათანადო განიავების პირობებში ან ატარეთ შესაბამისი რესპირატორი. დაცლილი ტარა შესაძლოა შეიცავდეს პროდუქტის ნარჩენს და შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი.

ჰიგიენური ღონისძიებები:

გამოყენების დროს აკრძალულია ჭამა, დალევა და მოწევა. პროდუქტის გამოყენების და მოხმარების შემდეგ დაიბანეთ ხელები. საკვების მისაღებ სივრცეში შესვლამდე გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი.

### 7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, რაიმე შეუთავსებლობის ჩათვლით:

შეინახეთ ქარხნულ შეფუთვაში, მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შეინახეთ გრილ, მშრალ და კარგად განიავებად ადგილზე. განათავსეთ სითბოსა და ცეცხლის წყაროთაგან შორს. შეინახეთ ორგანული მასალების, ნავთობისა და საპოხი ნივთიერებებისგან შორს. შეინახეთ აალებად ნივთიერებებისგან შორს. შეინახეთ რეგიონალური და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. პროდუქტის გამოყენების, დამუშავების და შენახვის ადგილზე აკრძალულია ჭამა, დალევა და მოწევა. შენახვის ყველა პირობის დაცვისას პროდუქტი სტაბილურია მინიმუმ 5 წლის განმავლობაში.

## 8. ზემოქმედების კონტროლი / პერსონალური დაცვა

### 8.1 კონტროლის პარამეტრები

ზემოქმედების/ექსპოზიციის ზღვრები:

Butylglycol/2-butoxyethanol (111-76-2)		
EU	IOELV TWA (mg/m <sup>3</sup> )	98 mg/m <sup>3</sup>
EU	IOELV TWA (ppm)	20 ppm
EU	IOELV STEL (mg/m <sup>3</sup> )	246 mg/m <sup>3</sup>
EU	IOELV STEL (ppm)	50 ppm

EU	Notes	Skin
United Kingdom	WEL TWA (mg/m <sup>3</sup> )	123 mg/m <sup>3</sup>
United Kingdom	WEL TWA (ppm)	25 ppm
United Kingdom	WEL STEL (mg/m <sup>3</sup> )	246 mg/m <sup>3</sup>
United Kingdom	WEL STEL (ppm)	50 ppm
United Kingdom	Remark (WEL)	Sk (Can be absorbed through the skin. The assigned substances are those for which there are concerns that dermal absorption will lead to systemic toxicity), BMGV (Biological monitoring guidance values are listed in Table 2)
<b>(2-methoxymethylethoxy)propanol (34590-94-8)</b>		
EU	IOELV TWA (mg/m <sup>3</sup> )	308 mg/m <sup>3</sup>
EU	IOELV TWA (ppm)	50 ppm
EU	Notes	Skin
United Kingdom	WEL TWA (mg/m <sup>3</sup> )	308 mg/m <sup>3</sup>
United Kingdom	WEL TWA (ppm)	50 ppm
United Kingdom	Remark (WEL)	Sk (Can be absorbed through the skin. The assigned substances are those for which there are concerns that dermal absorption will lead to systemic toxicity)

## 8.2 ზემოქმედების კონტროლი

პირადი უსაფრთხოების ზომები:

თუ რისკის შეფასება მოითხოვს თავდაცვის აუცილებლობას, გამოიყენეთ შესაბამისი აპრობირებული დამცავი აღჭურვილობა: დამცავი სათვალეები, სახის ფარი, გამძლე ხელთათმანები, დამცავი ტანსაცმელი და გაუმტარი ფეხსაცმელი, რესპირატორული მოწყობილობა / აირწინალი.

## 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

### 9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

ფიზიკური მდგომარეობა:	თხევადი
ფერი:	უფერო
სუნი:	მკვეთრი
სუნის შეგრძნების ზღვარი:	მონაცემი არ არის
ხსნარის pH:	8,2 ± 0,5 (100 %), 5,5 ± 0,5 (1 %)
დაშლის ტემპერატურა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

ლღობის ტემპერატურა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
დუღილის ტემპერატურა:	დუღილის დიაპაზონი: $\geq 100\text{ }^{\circ}\text{C}$
თვითაალების ტემპერატურა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალების წერტილი:	$92\text{ }^{\circ}\text{C}$
სიმკვრივე:	$957 \pm 25\text{ კგ/მ}^3\text{ (}20^{\circ}\text{C)}$
ხსნადობა:	100 %-იანი ხსნადობა წყალში
ქანგვიითი თვისებები:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

## 10. სტაბილურობა და რეაქციაში შესვლის უნარი

### 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

#### 10.1. რეაქტიულობა:

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი

#### 10.2. ქიმიური სტაბილურობა:

ნორმალურად შენახვის შემთხვევაში არ იმლება.

#### 10.3. საშიში რეაქციების შესაძლებლობა:

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი

#### 10.4. თავიდან აცილების პირობები:

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი

#### 10.5. შეუთავსებელი მასალები:

არასოდეს შეურიოთ სხვა მასალებს.

## 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მწვავე ტოქსიკურობა (პერორალური)

საზიანოა გადაყლაპვისას.

მწვავე ტოქსიკურობა (კანის)

არ არის კლასიფიცირებული.

მწვავე ტოქსიკურობა (ინჰალაცია):

საზიანოა ჩასუნთქვისას.

### Ethoxylated Alcohol (157627-86-6/68439-50-9/68131-39-5/68213-23-0/68551-12-2/160901-19-9)

LD50 oral rat	> 2000 mg/kg
---------------	--------------

LD50 dermal rabbit	> 2000 mg/kg
--------------------	--------------

### (2-methoxymethylethoxy)propanol (34590-94-8)

LD50 oral rat	> 5000 mg/kg
---------------	--------------

LD50 dermal rabbit	13000 - 14000 mg/kg
--------------------	---------------------

### Terpene, monocyclic (5989-27-5)

LD50 oral rat	> 4400 mg/kg
---------------	--------------

LD50 dermal rabbit	> 5000 mg/kg
--------------------	--------------

Skin corrosion/irritation	: Causes skin irritation. pH: 8,2 ± 0,5 (100 %), 5,5 ± 0,5 (1 %)
Serious eye damage/irritation	: Causes serious eye damage. pH: 8,2 ± 0,5 (100 %), 5,5 ± 0,5 (1 %)
Respiratory or skin sensitisation	: May cause an allergic skin reaction.
Germ cell mutagenicity	: Not classified
Carcinogenicity	: Not classified
Reproductive toxicity	: Not classified
STOT-single exposure	: Not classified
STOT-repeated exposure	: Not classified
Aspiration hazard	: Not classified

## 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

### 12.1. Toxicity

მწვავე წყლის ტოქსიკურობა : არ არის კლასიფიცირებული  
ქრონიკული წყლის ტოქსიკურობა: : ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისთვის.

<b>Ethoxylated Alcohol (157627-86-6/68439-50-9/68131-39-5/68213-23-0/68551-12-2/160901-19-9)</b>	
LC50 fish 1	1 - 10 mg/l
EC50 Daphnia 1	1 - 10 mg/l
ErC50 (other aquatic plants)	1 - 10 mg/l
<b>Ethoxylated Alcohol (157627-86-6/160901-19-9)</b>	
LC50 fish 1	1 - 10 mg/l
EC50 Daphnia 1	0,1 - 1 mg/l
ErC50 (algae)	0,1 - 1 mg/l
NOEC chronic fish	> 0,1 mg/l
<b>(2-methoxymethylethoxy)propanol (34590-94-8)</b>	
LC50 fish 1	> 10 mg/l
EC50 Daphnia 1	1,919 mg/l
ErC50 (other aquatic plants)	> 969 mg/l
<b>Terpene, monocyclic (5989-27-5)</b>	
LC50 fish 1	0,8 mg/l (Pimephales promelas)
EC50 Daphnia 1	69,8 mg/l
ErC50 (algae)	150 mg/l



## 12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

ტერპენ ულტრა	
მდგრადობა და დეგრადაცია	ამ პრეპარატში შემავალი სურფაქტანტ(ებ)ი შეესაბამება ბიოდეგრადაციის კრიტერიუმებს, როგორც ეს განსაზღვრულია სარეცხი საშუალებების შესახებ რეგულაციაში (EC) No. 648/2004.

## 12.3. ბიოაკუმულაციური პოტენციალი

ეთოქსილირებული ალკოჰოლი (157627-86-6/160901-19-9)	
ბიოაკუმულაციური პოტენციალი	ბიოაკუმულაცია არ არის.
ტერპენი, მონოციკლური (5989-27-5)	

## 13. უტილიზაცია (ნარჩენების განკარგვა)

თავიდან აიცილეთ და მინიმუმამდე შეამცირეთ ნარჩენების წარმოქმნა. არ განახორციელოთ დიდი რაოდენობის ნარჩენი პროდუქტების უტილიზაცია კანალიზაციაში ჩაყრით, ნარჩენები უნდა გადამუშავდეს შესაბამისი ორგანოების მიერ. ნარჩენების უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი/ან ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.

## 14. ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

In accordance with ADR / RID / IMDG / IATA / ADN

ADR	IMDG	IATA
<b>14.1. UN number</b>		
3082	3082	3082
<b>14.2. UN proper shipping name</b>		
ENVIRONMENTALLY HAZARDOUS SUBSTANCE, LIQUID, N.O.S.	ENVIRONMENTALLY HAZARDOUS SUBSTANCE, LIQUID, N.O.S.	Environmentally hazardous substance, liquid, n.o.s.
<b>Transport document description</b>		
UN 3082 ENVIRONMENTALLY HAZARDOUS SUBSTANCE, LIQUID, N.O.S. (Fatty alcohol ethoxylate), 9, III, (E)	UN 3082 ENVIRONMENTALLY HAZARDOUS SUBSTANCE, LIQUID, N.O.S. (Fatty alcohol ethoxylate), 9, III, MARINE POLLUTANT	UN 3082 Environmentally hazardous substance, liquid, n.o.s. (Fatty alcohol ethoxylate), 9, III
<b>14.3. Transport hazard class(es)</b>		
9	9	9

<b>14.4. Packing group</b>		
III	III	III
<b>14.5. Environmental hazards</b>		
Dangerous for the environment : Yes	Dangerous for the environment : Yes Marine pollutant : Yes	Dangerous for the environment : Yes
No supplementary information available		

## 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

### 15.1 ნივთიერებისა და ნარევებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

#### 15.1.1 EU რეგულაცია

2003 წლის 13 ოქტომბრის ევროპარლამენტის და საბჭოს (EC) N° 2003/2003 რეგულაცია სასუქებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ევროპარლამენტის და საბჭოს (EC) No 1907/2006 რეგულაცია ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH).

2015 წლის 28 მაისის ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაცია, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH) ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1907/2006 რეგულაციაში.

2008 წლის 16 დეკემბრის ნივთიერებათა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაცია, რომელმაც შეცვალა და გააუქმა 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივები და ცვლილებები შეიტანა (EC) No 1907/2006 რეგულაციაში.

#### 15.1.2 ეროვნული რეგულაციები

28/01/2013 ბრძანებულება პროდუქტის ბაზარზე შემოტანის და სასუქების, ნიადაგის გამაუმჯობესებელი საშუალებებისა და სუბსტრატების გამოყენების შესახებ.

### 15.2 ქიმიური უსაფრთხოების შფასება ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციის და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხლება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ ნივთიერებას/მასალას და შეიძლება არ იყოს სარწმუნო ამგვარი ნივთიერებისათვის/მასალისთვის, რომელიც გამოიყენება სხვა ნივთიერებებთან ნაზავში ან რაიმე პროცესში და ეს ტექსტში არ არის მითითებული.

აღნიშნული ინფორმაცია არ ათავისუფლებს მომხმარებელს ყველა არსებული რეგულაციების შესაბამისად პროდუქტის მოხმარების პასუხისმგებლობისგან.